კვირა, 14 დეკემბერი, 1930 წ. № 46 (281) ფასი 10 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტარტაროზი

კულაკი (ყოფილ თავმჯდომარეს — ოპორტუნისტს): — ეს რა ჰქენი? აკი დაგარიგეთ, რომ ისეთი არაფერი წამოგცდენოდა, რაც ჩვენს ხაზს გამოააშკარავებდა. სიტყვით ჩვენს წინააღმდეგ უნდა ყოფილიყავ, ხოლო საქმით ჩვენსკენ!

არც იქით, არც აქეთ...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბათლომესთვის, რომ გეკითხათ, ის არც მემარჯვენე იყო და არც „მემარცხენე“. ნამდვილად კი მემარჯვენეც იყო და „მემარცხენეც“, უკეთ რომ ვთქვათ — შემარიგებელი იყო.

თქვენ რომ მისთვის გეწოდებიათ მემარჯვენე ან მემარცხენე, ის ამით არ აღშფოთდებოდა და პასუხს მოგცემდა:

— არც მემარჯვენე ვარ, არც „მემარცხენე“; მე ვიდექი და ვდგევარ პარტიის გენერალურ ხაზზე; მე სხვებსავით თუ იყურები არ გახლავარ. თუ მემარჯვენეს სწორი აზრი აქვს, ის უნდა მივიღოთ, თუ „მემარცხენე“ სამართლეს ამბობს, მას უნდა დაუჯეროთ! — და ბათლომე აღნიშნავდა მემარჯვენე - „მემარცხენეების“ თეორიის მთელ რიგ დებულებებს, რომლებიც მას სწორად მიაჩნდა.

— მართალია, ისინი ბევრ რამეში ცდებიან, მაგრამ დღეს ვინც არ ცდება. შეცდომა რომ არ იყოს, მაშინ არც თვითკრიტიკა იქნება საჭირო.

— ჩემი აზრი ასეთია,—ამბობდა ის—რაშიაც ამხანაგები ცდებიან, უნდა მეეთითოს მათ შეცდომებზე, რაშიაც არ ცდებიან, უნდა დავეთანხმოთ.

ასეთ ორჭოფულ — შემარიგებელ — ოპორტუნისტულ პოზიციას ადგა ბათლომე უკანასკნელ დროამდის, სანამ მას კომუჯრედის სხდომაზე პირდაპირ არ დაუსვეს საკითხი:

— ბოლოს და ბოლოს გვითხარით, ბათლომე, ვინა ხართ, რა ხართ, ვის ემხრობით, ვისთან და საით მიდიხართ?

— როგორ თუ ვის ვემხრობი? რას ამბობთ, ამხანაგებო! განა ეჭვი შეგდით იმაში, რომ მე არც მემარჯვენე ვარ და არც „მემარცხენე“? მე, ამხანაგებო, თავიდანვე გენერალურ ხაზზე...

— ვიცით, ამხანაგო ბათლომე, — შეაწყვეტინა მას სიტყვა კომუჯრედის მდივანმა, — შენ ის გვითხარი— უარყოფ თუ არა მემარჯვენეების და „მემარცხენეების“ ოპორტუნისტულ შეხედულებებს მთლიანათ?

— მე არ მესმის ასე კითხვის დაყენება! — გაკვირდა ბათლომე.

— კითხვა სწორად არის დაყენებული! — გაისმა ხმები.

— მე, ამხანაგებო, პარტიის გენერალურ ხაზზე....

— ვიცით, ამხანაგო ბათლომე, რომ შენ გენერალურ ხაზზე დგეხარ სიტყვით; გვინდა ვიცოდეთ — საქმით ვინ ხარ? გვითხარი, უარყოფ თუ არა მემარჯვენე-„მემარცხენეების“ ოპორტუნისტულ შეხედულებებს? — გაისმა კვლავ ხმები.

— ამხანაგებო, მე პროტესტს ვაცხადებ ასეთი ძალადობისათვის. თქვენ არ მაძლევთ აზრის გამოთქმის საშუალებას.

კომუჯრედის მდივანმა მოუწოდა წესრიგისათვის. ბათლომემ განაგრძო სიტყვა. ორჭოფულად და მიკიბულ-მოკიბულად შეეხო მემარჯვენე-„მემარცხენეების“ შეცდომებს...

ამავე დროს აღნიშნა ისიც, თითქოს პარტიის ზოგიერთი წევრები მემარჯვენე - „მემარცხენეებთან“ ბრძოლაში აჭარბებდენ.

— მესმის, დაუნდობელი ბრძოლა ბურჟუაზიულ პარიტებთან, მესმის ებრძოლოთ შეუბრალებლად მტრებს, მაგრამ არ მესმის მემარჯვენე - „მემარცხენეებთან“ ისეთი ბრძოლა, როგორც ჩვენ ვაწარმოებთ. ისინი ხომ ჩვენი ამხანაგები არიან! მათ ჩვენ ამხანაგურათ უნდა ველაპარაკოთ.

ბათლომეს საკითხმა გამოიწვია მწვავე კამათი.

ყველა იმ აზრს გამოთქვამდა, რომ ბათლომე თვალთმაქცობას ეწეოდა და მემარჯვენე - „მემარცხენეებთან“ შემარიგებლობის როლს თამაშობდა.

კომუჯრედმა დაადგინა: „ბათლომე ქანაობაშვილი გამორიცხულ იქნას პარტიის რიგებიდან“.

კომუჯრედის დადგენილება გადაეცა საკანტროლო კომისიას დასამტკიცებლად.

ყუმბარა.



მიმაგრებულნი

ადგილებზე მიმაგრებული ამხანაგები არ მიდიან დანიშნულების ადგილზე და განაგრძობენ ქალაქში ყოფნას.

— გელოდებით ყარაიაზში... ბამბის დამზადების გეგმა...

— კაცო როგორ გამიკვირვეთ საქმე. ჩამომიტანეთ ბამბა, ქალაქში და აქ მივიღებ!

ეროვნული ბიბლიოთეკა

საბჭოთა ამომრჩეველის სიმღერა

მოდით აქ და არჩევამდე
გადავავლოთ ყველას თვალი.
ღირსეული ავირჩიოთ,
მოვიხადოთ ჩვენი ვალი.

მემარჯვენე - „მემარცხენე“
„ხელი ხელს ჰბანს, პირი—პირსო“.
იმიტიები გაუცრუვდათ,
ორივენი მწარედ სტირსო.

პარმენ სოფლის კულაკია,
იგი არის ჩვენზე მწყრალი.
კოლექტივი დავაარსეთ,
პარმენ დარჩა ხახამშრალი.

ჩვენმა მღვდელმა ანაფორა
შეიკერა გრძელ ხალათად.
თმა და წვერი შეიკრიჭა,
ეხლა დადის ის ხალვათად.

ეკლესია ჩვენს სოფელში
გადაკეთდა უკვე კლუბად;
ხუცესი და დიაკვანი
ბუზღუნებენ ორნივ ტყოპად.

მთელი სოფლის რადიოა
ჩვენი ხუცის ფოფოდია.
პარიზიდან მენშევიკებს,
ელოდება, არ მოდიან.

ჩვენი სოფლის აზნაური
აბალახებს მინდვრად ძროხას.
ხანჯალს მაინც არ იშორებს,
შემოეხა კალთა ჩოხას.

დღეს ტრაქტორი მოგუგუნდა,
მტრებს გაუჩნდათ გულის-მანკი,
მღვდელს კულაკი ანუგეშებს,
კულაკს — მღვდელი, (რა ჰქნან ან
კი?!).

ღიპი ჰქონდა წინედ დიდი,
როგორც ტიკში მაჭარია.
მას თქვენ ყველა გამოიცნობთ,
ის ყოფილი ვაჭარია.

ბიუროკრატს ავტო უყვარს,
ყვირილი და ტელეფონი.
ისემც მამა უცხონდება,
რომ გასცუროს ღელე, ფონი.

ექიმბაში მოსთქვამს, სტირის.
საექიმო გახსნეს პუნქტი.
ექიმბაშთან არ ვინ მიდის,
წამლობა აქვთ ყველას მუქთი.

აღმასკომის თავმჯდომარის
ღვინო უნდა ორი ჩაფი.
არჩევნებში ელოდება
ქონიანი მას ნიჩაფი.

საღებავით ტუჩს იღებავს
ალესვინებს ფრჩხილებს დალაქს.
კაბა მუხლზე არა სწვდება
და აცინებს სოფელს, ქალაქს.

ყველა ამათ საბჭოსაგან
უნდა ვუყოთ „განი-განი“.
საბჭოებში ვერ გაძვრება
ვეღარც ერთი ამათგანი.

საბჭოებში ჩვენ ავირჩევთ
მუყაით და ნამდვილ მშრომელს
ვინც ქმნის ახალ ქვეყანას და
შრომას მისდევს დაუცხრომელს.

გლეხიშვილი.

გამრუდების შედეგი

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამი წელია პარტიის კანდიდატათ ითვლება დიმიტრი.

— რა ხარები გყავს, რა ხარები დიმიტრი ჩემო, ეგ ხარების და ცხენ-უნაგირის პატრონს პარტიაში ვინ მიგიღებს?

— ინგლისიდან გამოიწერე ეგ ღორები თუ სად ბშოვე?

— რამდენს იწველის ეგ შენი ძროხები მიტრო?

ასე ეკითხებოდენ ხშირად პარტკანდიდატს, სოფლის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე დიმიტრის.

— თითქმის კულაკია ეგ პირშავი,—ამბობდა ერთი.

— გაჩუმდი კაცო, პარტკანდიდატი, საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე კულაკი შეიძლება იყოს? მაგას ალბათ ეკუთვნის...

— კარგი თუ კაცი ხარ, კულაკობა ეკუთვნის? ასეთი წესი არ არსებობს...

— დავსცხოთ კულაკობას, როგორც კლასს, — ხმამაღლა გაიძახოდა დიმიტრი კრებებზე. — მაგრამ ამ სოფელში კულაკი არავინაა... ამიტომ იერიში მეზობელ სოფლებზე უნდა მივიტანოთ და მათ დავეხმაროთ კულაკების მოსპობაში!

— კულაკი? თავზე საყრელად გვყავს ჩვენც!—შეეკამათებოდა ვინმე.

— ეგ „მემარცხენე“ - მემარჯვენეობაა, ამხანაგო! აქ კულაკი არავინაა და შენ კლასობრივ ხაზს ამრუდებ! მაგისათვის იცი რა მოგელის?!.

„იქნებ მართლა გავამრუდე ხაზი“, — შეეჭვდებოდა მოკამათე და გაჩუმდებოდა.

ყველას უკვირდა ისიც, რომ იმ სოფელ ფაფუკში კულაკებს არც ინდივიდუალურათ ბეგრავდენ, არც ზედმეტს ახდევინებდენ, არც განსაკუთრებული ბეგარათ ტვირთავდენ.

— ვისი წყალობითაა ნეტა ასეთი შეღავათები? — კითხულობდენ გლეხები.

— ვითომ არ იცი ვისით! ჩვენი მიტრო სარგებლობს, რომ თავმჯდომარე კურსებზეა გაგზავნილი და...

— ششუთ, ვაჟო, არ გაგიგოთ, თორემ...

მოისვენეს „საწყალმა“ კულაკებმა. თავს მშვენივრად გრძნობდენ და მადლობის ნიშნად დიმიტრის ხშირად უმართავდენ ქეიფს.

დადგა გადამწყვეტი ჟამი: სოფ. ფაფუკის საბჭო წარსდგა საანგარიშო მოხსენებით ამომრჩეველთა წინაშე. ჩამოვიდა მუშათა ბრიგადის ორი წევრი. დიმიტრიმ იმ დღესვე დაპატიჟა ორივე.

— თქვენი ჩამოსვლა ჩვენთვის საზეიმო შემთხვევაა... ამ პატარა სასმისით ვსვამ თქვენს სადღეგრძელოს, —და მიტრომ კვარტიანი ყანწი მოიყუდა,—ალავერდი თქვენთან!

— ჩვენ მაგით არ ვსვამთ, თითო-ოროლა ჭიქა საკმარისია!

— გამომისვით დანა ყელში! ეგ რომ არ დალიოთ, დიდათ მაწყენინებთ...

გაკერპდენ ბრიგადელები. რაღაც ორიოდე ჭიქა ღვინო შესვეს.

გათენდა დილა.

— თქვენთვის ცხენები მზად არის, ამხანაგებო, — მხიარულად შეაღო მასპინძელმა დიმიტრიმ კარი.

— ცხენები? რატომ?

— რატომ? — დაიბნა დიმიტრი, — თქვენ ხომ აქ არ დარჩებით, ანგარიშს აქ ისეც ჩავაბარებთ, თქვენ მეზობელ სოფლებს უშველეთ, იქ კულაკებით სავსეა ყველაფერი... აქ არც კულაკები გვყავს და ხალხიც შეგნებულია..

გაჯიუტდენ ბრიგადელები. დარჩენ საანგარიშო კრებაზე.

— ჩვენი ყველაზე მეტი მიღწევა,—დაიწყო კრებაზე დიმიტრიმ, — ის არის, რომ ამ სოფელში არავითარ გადახრებს არ ქონია ადგილი და ორ ფრონტზე ბრძოლით მტკიცედ ვატარებთ ხაზს... კულაკები მოვსპეთ და საბჭოც გავაჯანსაღეთ, შიგ უმთავრესად ბეჯითი და კარგი ოჯახის პატრონი გლეხები შევიყვანეთ... თვით ჩვენი ღვდელიც იმდენათ მოჭკვიანდა, რომ გაიკრიჭა, პლატფორმაზე დადგა და ახლა საკრედიტო ამხ-ბაში მუშაობს მოლარეთ, დიაკვანიც ეპოში მოვაწყეთ ნოქრათ. ასე, რომ ჩვენში ანტისაბჭოთა ელემენტები აღარ არიან.

რაღაც საშინელი კამათი მოყვა ამ მოხსენებას. ბრიგადელების ყოფნით გამხნევებული ღარიბები ცეცხლითა და მახვილით გამოვიდენ მიტროს წინააღმდეგ...

და დიმიტრი არა მარტო გადაირჩიეს და საბჭოდან გააძევეს, ასე გასინჯეთ, პარტკანდიდატობიდანაც მოხსნეს.

— მეტისმეტი მოგვივიდა, მიტრო, — ეუბნებოდენ მას მეორე დღეს დაძმარებული კულაკები, — ახლა თავიც დაიღუპე და ჩვენ ხომ გაგვანადგურე... ვინღა დაგვინდობს!

— რატომ ფეხი არ მოტყდათ იმ წყეულ ბრიგადელებს! — იწყევლება მიტრო, — ინდაური დავკალი, გოჭი და ქათმები არ მომიკლია და ყველაფერი წყალში ჩამიყარეს... ერთი ვიცოდე, ან ეს ხაზი ვინ მოიგონა, ან მისი გამრუდება, ან ეს გადახრები?!?

ტერსიტი.

ერთგული გადია



გერმანიის კონსტიტუციის 48 პარაგრაფი ჰინდენბურგს დიდ უფლებებს ანიჭებს. გენერალი თავს არხეინად გრძნობს.

ნათესაური გრძნობა

პირველი მგელი: — შევსჭამოთ! ხომ ხედავთ—ცხვარია!
მეორე მგელი: — რას ამბობთ! ეს „ჩვენი ძმაა“ ხოლო ცხვრის ქურქშია!

ეროვნული ბიბლიოთეკა

დვურუშნიკები

(იომორესტკა)

დეზერტირკაზე
იქ, სადაც უაფანერა,
სხედან ჯგუფებად თუ გაფანტულად
ლოთები.
წინ: გუდები... ჭიქები!... ბოთლები!.;
ბეღვინე — „სირაჯი“,
ეს მწარმოებელ გლეხის ახალ მირაჟი
ნაძღვილად — მატყუარა ჩარჩი,
ჩამჯდარა ამ ხალხში,
დარდიმანდობს: ღვინოს უყოფს თუ... იყოფს
ერთი სიტყვით: „დვურუშნიკობს“!...
— მიირთვით კახური!...
ჯერ არსად ნახული...
ღვინო, წითელი...
„ამთენი“... იმთენი“!..
და...
სვამენ!..
ზედ ტარნის კუდებსა სჭამენ...
ღვრიან....
მიწას წითლად სვრიან...
აქაც „დვურუშნიკობენ“ წინაშე წითელი ფერის!...
შემდეგ—ხისა, ქვისა, სვეტის, საერთოდ
— ვერტიკალურის ყველაფერის!...
ღამის ბნელში,
ჭიქით და კვარტით ხელში,
დაბრუნებულნი, მოდიან ქუჩაზე::
წინ, უკან თუ განზე...
გადაიხრებიან მარჯვნით...
გადმოიხრებიან მარცხნით...
ერთი სიტყვით: „დვურუშნიკობენ“!
და ლოთურ წყურვილს ყოველდღიურად ასე
იცხრობენ...

ოი, ლოთებო, თქვენსა მზესა!
სთქვით: მართალია თუ არა ესა?
და მერე როგორა გგონიათ: ამაში სცოდავს მარტო
დეზერტირკა?

სალდათის ბაზარზე, სადაც ვანქის ტაძარია,
აბა, მიბრძანდით იქა!
ეს ხალხი იქაც ისევე ჯგუფ-ჯგუფად ჩამსხდარია...
მათ წინ—იგივე: ტიკი, კვარტი თუ ჭიქა,
გარემოცულნი ამ ლოთურ ჯგუფებით,
ფეხებზე — ქუსლ-წათელილ წუღებით,
ხელებშიც — თავებიდან მოშვლეპილ ქუდეაით!...
ცხადია, თავი ხურს!
ხუხავენ თეთრსა თუ წითელ კახურს,
სჭამენ ბოლოკს, ხახვს, პრასას თუ ნიახურს..
შემდეგ კი „დვურუშნიკობენ“ ქუჩებზე:
ხის მორგვებსა, რკინის ზოლებსა თუ ქვებზე...
ბორძიკობენ... იქცევიან.;
იგინებიან... იფურთხებიან;;; ინთხევიან;;;
მერყეობენ, ქანაობენ თუ ირხევიან,
საერთოდ კი — წინ ძლივს ძლივობით მიდიან
ეს ლოთთა ამჩატებული ფეხები...
მხოლოთ ვინ არიან ისინი, მათზე რომ ღვინოს ჰყიდიან?

გგონიათ: მწარმოებელი გლეხები?
ეს ყასიდი სირაჯები.
ძველი მიკიტნების გახლავან მირაჟები!
შეხვეულან ახალ ქურქებში,
ჩამსხდარან ამ ლოთურ ჯგუფებში...
(პირდაპირ ქუჩებში!)
ქალაქში რაც ღვინო შემოდის, ასე იყოფენ!
ერთი სიტყვით: „დვურუშნიკობენ“!
ათრობენ ხალხს,
იკეთებენ დაბლს...
დამდგარა მათთვის სრულიად ახალი ერა!
საერთოდ — უცვლიათ რაღა, სახე!...
იქნებ ვისმე ეს არა გჯერა?
მაშ, მიდი და საკუთარის თვალით ნახე!...

ოანისიმე.

რადიო რაიონიდან

ყველავ ხელში ვიღებ ფოლადის კალამს,
მინდა მოვშინჯო წყობა რითმების.
მოვსცხოთ იქ, სადაც უცქერით ვარამს,
ვთქვათ სიტყვა, სადაც გამოითქმების.

თავზე ბალანი უკვე ამიდგა,
ზოგთან კიდევაც ბოროტი დავრჩი.
რას ვხედავ ამას, თვალი დამიდგა,
საიდან გაჩნდა ამდენი ჩარჩი!

ვარ ბრიგადირი მომარაგების,
ჯიბეში მანდატს მეტრო აქვს განი.
დავდივართ ერთად ამხანაგები,
შემოვიარეთ სვირი და ვანი.

ვიძახი ასე: ნეტა რა მოხდა!
საქმე უზურში რათ არ ჩამდგარა?
გუშინ რომ ჩარჩებს სული ამოხდა
საფლავებიდან ისევ ამდგარან!

რა არ ადგება, როდესაც იმათ
არვინ უცქერის, არ უწევს ყურსა.
ავანსებს აძლევს გლეხობას წინად
ყურძენს აყენებს, ქირაობს ჭურსა.

აგერ ვიღაცა კუთავს ბებერი,
აუკიდია ტიკები მხარზე.
ამბობს: — „გახლავარ პენსიონერი“
უკვე ცოცხლდება სადგურის ზარზე.

ყოფილს ქალაქის მიკიტანს დახეთ.
მას სამარადოთ აუკრეს ბარგი.
ოთხ გლეხს აკიდა გუდები ვნახეთ,
მას შეუცვლია ამრიგად დარგი.

აქ კი ტფილისის დალაქსა ვანოს
მიუტოვია სარკე და დანა...
რამდენი გინდათ, რომ მოვიყვანო,
მაგალითს ვინმე ჩამოთვლის განა!

მესმის მორდოხამ იყვირა დიდი:
— ხაიმ, თუმანი მიეცი ფუთში! —
და უპატენტოთ ვით ინვალიდი
ელასტიურად ალაგებს ყუთში.

ველი ტარტაროზს შენს ახალ კანონს
შენ გენაცვალოს ძნელოლლი სულში.

ძნელოლლი.

სოფლად

რაიონები იძენენ ადგილობრივ მიმოსვლისაკენ ავტოებს და ამავე დროს არ ფიქრობენ გზის შეკეთებაზე



მგზავრები: — ხარი და კამეჩი რომ მიგყავთ, ჩვენ წაგვიყვანეთ.
შოფერი: — ესენი იმიტომ მიგვყავს, რომ — გზებზე როცა ავტო ტალახში ჩაეფლება, ამოლებაზე მოგვეხმარებიან!

ჩემი მეზობელი

ჩემისანა კეთილი მეზობელი არ მგონია რომ ვინმეს ჰყავდეა. იმდენათ შეტკივათ ჩემზე გული, რაც უნდა უმნიშვნელო რამე მოხდეს ჩემს ოჯახში, აუცილებლად უნდა გაიგონ. წინაალმდეგ შემთხვევაში ავათ ხდებიან.

იყო ასეთი შემთხვევა: მეწვია ერთი ნაცნობი კაცი. ეს ამბავი ჩემ კეთილ მეზობლებს არ გამოპარვიათ. სტუმარმა რაღაც ორი საათი დაჰყო და ისევ გაუდგა თავის გზას. მისი წასვლა და მეზობლების ოთახში შემოსვლა ერთი იყო. ერთმა მკითხა სტუმრის ვინაობა, მეორემ— მისი სოციალური მდგომარეობა, — მესამემ — სად მსახურობს და რამდენს იღებს ჯამაგირს, მეოთხემ - პარტიულია თუ უპარტიო, მეხუთემ — ეკლესიაში თუ დაიარება, მეექვსემ — რამდანი ჰყავს სარჩენი... და სხვა.

—

ამ ორი დღის წინედ ასეთი ამბავი მოხდა: ერთი ნაცნობი ქალი მეწვია, ეს ამბავიც ჩემი მეზობლების „შორსმჭვრეტელ“ თვალებს არ გამოჰპარვიათ — მაშინვე მოიყარეს თავი ფანჯარასთან.

სტუმარმა ადრე ინება წასვლა, თორემ ისეთ სრულ ანკეტას წარმოადგენდენ, რომ ვერც კი შესძლებდა მის შევსებას.

იმის ვალდებულსაც კი მხდიან, რომ ყოველ-დღიური ანგარიში ჩავაბარო ჩემი ყოველდღიური თავგადასავალის შესახებ.

—

და, აი, როცა აიკსო მოთმინების ფიალა უცბათ უჩინარმა ძალამ ყურში ჩამჩურჩულა: — შე უხეირო, როდემდი უნდა იყო ამ არამკითხე ჭირისუფლების გავლენის ქვეშ! დასწერე წერილი და გაუგზავნე ყოველად ძლიერ ტარტაროზს. იგი ისეთ მაგარ ლაგამს ამოსდებს, რომ სულ დაავიწყებს მათ სხვის საქმეში ხელის თათურს.

მეც მოვკიდე კალამს ხელი და დავწერე სატარტაროზო წერილი, რომელიც ჩავდეი კონვერტში და ის იყო ვაპირებდი ფოსტაში ჩაგდებას, რომ ჩემმა მეზობლებმა ჩვეულებრივ შემოაღეს კარები და ერთხმათ შემეკითხენ:

— რომელ შეყვარებულს სწერ მაგ წერილს!?

ფიცი და მტკიცება არ გამივიდა. ერთმა მათგანმა ხელიდან გამომტაცა წერილი.

—უკაცრავად ბრძანდებით! — ცხვირ აწევით გადმომხედეს ჩემმა მეზობლებმა და ოთახიდან გავიდნენ.

—აბა ვნახოთ მაგ წერილი დაბეჭდილი „ტარტაროზში“ და მერე ჩვენ ვიცით! — დამემუქრენ ისინი.

ჯანიც გავარდეს. დეე, მოხდეს რაც მოხდება.

კირ. საფიჩხიელი



ეროვნული ბიბლიოთეკა

მანქანის ხმაურობა ბეჭდის დროს მთელ ოთახს აყრუებდა, მაგრამ რეგისტრატორსა და საქმის მწარმოებელს ყური შეჩვეული ჰქონდათ.

გამგის თანაშემწე, რომელსაც მემანქანის ოთახის გვერდით ჰქონდა კაბინეტი, ნერვიულობდა მანქანის ხმაურობაზე, თუმცალა მის კაბინეტში ძალიან სუსტათ ისმოდა მანქანის ტიკტიკი.

— ყველაფერი გამოიგონეს, მაგრამ უხმო „რემიგტონის" გამოგონება არ იქნა- — ფიქრობდა ის და დაცინვით ამბობდა: — აბა თუ კაი ბიჭები არიან ჩვენი ჭუშა-გამომგონებლები, გამოიგონონ უხმო მანქანა.

მაგრამ „მეცნიერება და ტეხნიკა" არ ზრუნავდა ამაზე და მემანქანე ქალი ისევ განაგრძობდა ბეჭდვას მანქანაზე.

— ეს ოჯახდაქცეული ისე მაგრად სცემს თავის თათებს, რომ გეგონებათ ბაქსიორის ხელთათმანები აქვს წამოცმული ხელზე; უშნო ყველაფერში უშნოა!

და ერთ დღეს მოთმინებიდან გამოსულმა თანაშემწემ გამგეს მოახსენა:



— მემანქანე ქალი თუ არ გადავიყვანეთ იმ ოთახიდან სადმე შორს ჩემგან, მუშაობა არ შემიძლია. ყურები მტკივა. პირდაპირ ჩაქუჩივით მცემს თავში მისი მანქანის ხმაური.

იმ დღესვე მემანქანე ქალი შორეულ ოთახში გადაიყვანეს.

თანაშემწეს აღარ ესმოდა მანქანის ხმაური.

— მოვისვენე! — ამბობდა დამშვიდებული თანაშემწე.

თანაშემწე აღარ შედიოდა მემანქანესთან. სამუშაოს საქმისმწარმოებლის ხელით უგზავნიდა.

მემანქანე ქალი შვებულებაში წავიდა.

მის მაგიერ ახალი მემანქანე მოიწვიეს.

ერთ დღეს საქმის მწარმოებელმა თანაშემწეს ახალი მემანქანის მიერ გადაბეჭდილი მასალა შეუტანა კაბინეტში.

— ეს რასა ჰგავს! ამდენი შეცდომა გაგონილა გადაბეჭდაში? ბრუციანი ხომ არ არის ის ოჯახდაქცეული, რომ ასოებს ვერ ამჩნევს და სტრიქონები ირიბულად გამოჰყავს! — გაბრაზდა თანაშემწე და გულმოსული წავიდა მემანქანესთან.

— სახეში მივაყრი ამ გადანაბეჭდს! — ფიქრობდა დერეფანში მიმავალი თანაშემწე.

კარები უცბათ შეაღო და...

მემანქანე სარკეში იცქირებოდა და ტუჩებზე საღებავს ისვამდა.

უკაცრავად! ხელი ხომ არ შეგიშალეთ... უხერხულ დროს შემოველ! — მოიბოდიშა თანაშემწემ.

— არა უშავს... როგორ გეკადრებათ! — განაზდა მემანქანე.

— ასე მიყრუებულ ოთახში როგორ გაძლებთ მარტოკა! ჩემთან გადმოდით კაბინეტში. ეს უფრო უმჯობესია საქმისათვისაც. მე გიკარნახებ და თქვენ დაბეჭდავთ... დიახ ჩვენს კაბინეტში აჯობებს!

დარაჯი და დამლაგებელი ქალი სიცილს ვერ იმაგრებდენ, როცა „მემანქანის მოწყობილობა" თანაშემწეს კაბინეტში გადაჰქონდათ.

აკი თქვენ მემანქანე „იქ" გადაიყვანეთ, რადგან ამ ოთახში თითქოს ხელს გიშლიდათ მანქანის ხმაურობა!— ეშმაკური ღიმილით უთხრა გამგემ თანაშემწეს.

— ჰო,დიახ! მაგრამ, საქმე იმაშია, რომ რაციონალიზაციასთან დაკავშირებით და იმიტომ, რომ საქმემ ასე მოითხოვა, აქ გადმოვიყვანე. მე თვითონ უკარნახებ და იქ სიარულში დრო აღარ დაიკარგება.



მთელი ერთი თვე მემანქანე ქალი თანაშემწის კაბინეტში მუშაობდა. მანქანის ტიკტიკი თანაშემწეს ისე ატკბობდა, როგორც კარგი ოპერა.

მემანქანის შვებულებიდან დაბრუნების წინა დღით თანაშემწემ დარაჯსა და დამლაგებელს ისევ გადაატანია „მემანქანის მოწყობილობა" „შორეულ ოთახში".

ისელი

ვანქის ეკლესიის გალავანში

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ქრისტე: — მთლად გამოსულელდა ეს საწყალი ღმერთი. მას ჰგონია — თითქოს მორწმუნეთა დღეობაა!

მამის წერილი

(ჰიათურა — მოსკოვი)

ეროვნული ბიბლიოთეკა

მამულისათვის თავდადებულო შვილო ვახტანგო!

ბიჭო, ამ ოჯახ ქორმა კომუნისტებმა ქე არ ჩაგვაშხამეს მე და დედაშენს შენთან ჩამოსვლა მოსკოვში! ამიხირდნენ: დასაბუთებული ანგარიში წარმოგვიდგინე — რაში რა დახარჯე და ვის რა მიეცით ექსკურსიისათვის მოგროვილი ფულებიდანო.

დასწყევლოს ღმერთმა და სამას სამოცდა ხუთმა წმინდა გიორგიმ ამათი თავი! მამა უცხონდათ მათ საბუთებს წარმოუდგენდი. რას მიჭარავენ? ფულები ხომ შესანახავად არ მოუციათ! დახარჯე რაშიაც საჭიროებამ მოითხოვოსო. მეც ავდექი და დავხარჯე გემოზე. რაც გადამრჩა და ეკომონია გავაკეთე, ის კიდევ გადავუძახე კოლოფში შავი დღისათვის. (და მართლაც შავი დღისათვის დამჭირდა. ამაზე უფრო შავი დღე განა როდისმე დამადგება, ეხლა რომ მე მადგია!).

ჩამაცივდენ და აღარ მომეშვნენ:— რაც ფული გადაგრჩა, დაგვიბრუნეო. ისე მამა უცხონდა მათ, მე მათ ფულები დავუბრუნო. ცივი უარით გვარიანი მაგარი ბრაზი დავაყოლე: — თქვე ყურუმსაღებო, რა ფულები დაგიბრუნოთ- სახარჯოთ აკი მომეცით და კიდეც დავხარჯე, შესანახათ განა ხომ არ მოგიბარებიათ-თქო.

მაგრამ არასოირიც არ გამოვიდა, ხომ იცი, შვილო, რომ ესენი თქვენზე, მენშევიკებზე, უფრო მაგარი დისციპლინის ხალხია, მაგრად მომკიდეს ხელი და იმ გადამალულ, ორიათასი მანეთიდან ჯერ მხოლოდ 600 მანეთამდე [illegible]ომმაჩენიეს.

აფსუს- ჩემი ეკომონიით და რეჟიმ ეკომონიით ჩამორჩენილო და ექსკურსანტების ნაშიმშილარო ფულებო! ეხ, ჩემო თავო ოხერო, ეს რა სიგლახე ჩავიდინე! თუ ასე წავიდოდა საქმე, რას დაეიძებდი ეკომონიას, ბარემც ისეც იქ მშიერი ექსკურსანტებისათვის მეჭმია. აწი კი რაც შეიძლება ვეცდები, რომ დანარჩენი 1400 მანეთი მაინც აღარ ჩამომართვან. მე [illegible]ა, შვილო, ეხლა კიდეც ძალიან მაგრად დამაპანღურებენ სამსახურიდან; ამას აქედანვე [illegible] შეიტრიგდეთ.

მგონია ვერაფერი მიქნან, რადგან თბილისში და აქაც ბევრი დამხმარეები მყავს, მხოლოდ ეხლა შენ გაფრთხილებ: ხომ იცი, ამ ღვთისაგან დაწყეული კომუნისტებს ობობასავით ყველგან ქსელი აქვთ გაბმული და შეიძლება ადმინისტრაციამ დაგკითხოს: ამა შენს ნაღდ ფულად შენთვის ხომ არაფერი დაუტოვებიაო... შენც მოკლეთ და მოჭრით უპასუხე „არაფერი თქო". მერე დამუწე ტუჩი და დაადე ბოქლომი ენაზე მაგრათ, არამც და არამც არ წამოგაცდევინონ, თუ ოქროაათი თუმანი ნაღდად დაგიტოვე, თორემ ქე მე გ[illegible]ვენ, რატომ დაუტოვეო.

ამ წერილს დაზღვევულს გიგზავნი, სხვას არავის ჩაუგდო ხელში. ისე კი მაგრად და დიპლომატიურად დაიკავე თავი. მენშევიკებთან იმენშევიკე, ბოლშევიკებთანაც იბოლშევიკე, თავად - აზნაურთან შენც ითავად-აზნაურე. თავი ისე გეჭიროს, კითომ თავადი ხარ და ვინც არ გიცნობს ისე მანდ ყველას გააცანი თავი გრუზინსკი კნიაზ ბარიატინსკი ვართ-თქო. მართალია, თავად - აზნაურობის წოდება მოგვიშალეს, ვაგრამ ჯეო კიდია აქვს ფასი და გასავალი.

ასე ჩემო შვილო.

მამაშენი **გევარსი ბარათაშვილი.**

წერილის ხილში ჩამგდები

კვანტი.

ჩვენებური სტუმროობაო— ნუ ჰგონია ხუმბროობაო!

— სად მიბრძანდებით მთელი ოჯახი და ნათესაობა?
— ქალაქში მივდივართ, ჩვენს სიძეს ორი ოთახი უშოვნია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ახალი თავმჯდომარე

სილნაღის „ეპოს“ გადარჩევები დამთავრდა.

მეორე დილით „ეპოს“ ყველა მოსამსახურე ადრიან გამოცხადდა სამსახურში. ელოდებოდენ ახალ გამგეობის და განსაკუთრებით კი ახალ თავმჯდომარე გეურქა იარალიანის მობრძანებას. ყველანი ადგილებზე ტოკავდენ და კარებისაკენ იყურებოდენ.

უცბათ კარი გაიღო და... ყველანი ფეხზე წამოხტენ და მისასალმებლად თავი დახარეს, მაგრამ თავმჯდომარის ნაცვლად შეეჩეხათ მეურმე გიორგა.

ერთხმათ გადაიხარხარეს..

როცა ხარხარი მიწყდა, გარედან მაღალი ხმა გაისმა. ყველა გაქვავდა.

ახალი გამგეობა მობრძანდებოდა.

— ეი, ბიჭო, შენ ამიერიდან აქ კარებში გაჩერდები და უნებართვოთ არავის შემოუშვებ; ეყოთ აქამდე რაც თავის ნებაზე ისეირნეს. — მოისმა ხმა.

— ბატონი ბრძანდებით; როგორც მიბრძანებთ ისე მოვიქცევი, მაგრამ შიკრიკის მოვალეობას ვინღა შეასრულებს?

— შენი საქმე არ არის! — მკვახეთ უპასუხა გეურქამ, — სხვას დავიქირავებთ.

კარები გაიღო და შემოვიდა გეურქა მთელი თავის ამალით. მიიხედ-მოიხედეს და შევიდნენ კაბინეტში:

— აქ ჩვენ ყველა ვერ მოვეწყობით, ახალი კაბინეტები უნდა გავმართოთ.

დაადგინეს: „ამ საქმეზე გადაიდოს 2.000 მანეთი“.

შემდეგ გამოიმუშავეს განაწესი, თუ ვინ უნდა დაიდგას ცალკე ტელეფონი, ზარი და სხვა.

თავმჯდომარე გეურქამ ჩამოსწერა:

1 ზარი — ბუღალტერს;
2 ზარი — მოანგარიშეს;
3 ზარი — საქმის მწარმოებელს;
4 ზარი — მოლარეს;
5 ზარი — საწყობის გამგეს;
6, 7, 8, 10, 15; 20; 30—ზარი.

როცა თავმჯდომარე ერთდოულად რამდენიმე თანამშრომელს გამოიძახებს და ზარს დარეკს — გეგონებათ შენობაში ტფილისის ტრამვაის ახალი ვაგონი შემოიჭრა და ვატმანი ხალხს აფრთხილებს ზარების რეკითო.

მორიელი.

დაუდევრობა



— არიქა! პური იბნევა!
კონდუქტორი — კი არ იბნევა, „თესვის კამპანიას“ ვატარებ.

წერილი შვილს ქუთაისიდან

შვილო ანტიპ! რამ დაგამუნჯა სახვაჭრობის კედლის გაზეთივით და წერილს ალარ მწერ?

აქაურ ამბავს თუ იკითხავ, ყველაფერი რიგზეა, გარდა მუშკოოპისა.

ქუთაისის სადგურზე მილებული ნავთი, უკანვე დააბრუნა, — არ გვინდა მეტი, ადგილი არ გვაქვსო.

გიგზავნი, შვილო, ერთ წყვილ მატყლის წინდებს ნავთის „ოჩერედში“ დგომის დროს მოქსოვილს.

შენ რომ იწერები — ვანია ორლოვს რა მოუვიდაო, არაფერი იმისთანა. სულ მაღაზიის გამგეებთან ჰქონდა ძმური კავშირი. მიშამ და ვანიჩკამ (მაღაზიის გამგეებია) უზიდეს და უზიდეს რჩეული პალტოები, ფეხსაცმელები, ფართალი და თუ რაიმე კარგი ჰქონდათ გადანახული ძალაზიის უკანა ოთახში. სამაგიეროთ ორლოვმა უფეშქაშა მიშას პარტიაში შესაძრომი ექვსი თვიანი სტაჟი. ამიზა ქე დაადვეს ორლოვი ქონიან ნიჩაბზე, მარა „ღმერთი არ გასწორავს კაცს ბედისაგან განაწირსა“ ახლა ისევ ახალი პორთფელით დადის.

შვილო, საშა მარგველაშვილს უწინ „მემარცხენე“ წყალობდა, ახლა მემარჯვენე ოუჩნდა და ფერომარჯანეცში ჩააფლო.

ქე ამბობდნენ და არ მჯეროდა, მარა აწი დევიჯერებ, რომ „მემარცხენე“ - მემარჯვენეს ვაჭრებიც ყვარებიათ, თვარა მარგველაშვილს რა უდა სამსახურში!

მაგ კი არა და, რა გეიგონა ჩემმა დასაფსებმა ყურებმა! ვასილე ძოწენიძე, ქე რომ ვაჭრობდა მეთევზეეპში, ბალახვანაშიაც სამიკიტნო ქონდა მგონი, აი ის, კიბულაში და ერეშუეს დუქანში არღნებზე რომ უყვარდა ქეიფი, თავზე ბოთლების დადგმა რომ იცოდა, ქე რომ სახლები ეაშენა ჩვენს ზევით მახარაძის ქუჩაზე, — სწორედ ის ვასო „გოსტორგში“ გამგის მოადგილეთ ყოფილა ახლა.

გამსახლში შვილო, ალბად იმდენი პატიმრებია ამჟამად, რომ იასონა კოსტავამ 2.500 მანეთი შეუჭამა პუშკოოპს, მარა ადგილი ვერ მიუჩინეს

შენი დედა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„ღმერთმა ინებოს“

(სცენა ქუთაისის განათ. მუშაკთა კავშირში)

მელიტონი: —არიქა, არიქა, მიშველეთ, ქალს კანცელარიაში გული წაუვიდა. მაჯა აღარ მუშაობს, ფერი ფერი დაკარგვია და გულსაც ცემა შეუწყვეტია (მივარდება ტელეფონთან) წკრრ - წკრრ-წკრრ... სადგური! სადგური! სადგური! დაგექცა ოჯახი... არიქა ფეხით მაინც გამეგზავნეთ კაცო თორემ შემომაკვდა ავადმყოფი ხელში!

ვანიჩკა: — დაურეკეთ კიდევ სადგურს, იქნებ ეხლა მორჩენ შეყვარებულებზე ლაპარაკს.

მელიტონი: — სადგური! სადგური! სადგურია?

— რა გნებავთ?

— თქვენი ჯანდაბა. მომეცით სასწრაფო დახმარება.

— საავადმყოფო?

— „სასწრაფო დახმარებას“ გთხოვ. არ მოგეცეთ არაფერში დახმარება.

- ნომერი მითხარით.

— 1-90.

— ტელეფონი „უქე“ აღარ აქვთ მათ!

— მომეცით, აბა, ჯანმრთელობის განყოფილება.

— ქალიშვილები ელაპარაკებიან მათ და არ სცალიათ.

— აბა წითელი ჯვარი მომეცით!

— მზად არის, დაურეკეთ!

—საიდან არის?

— გისმენთ საბჭოთა აბანოს მორიგე.

— კაცო, რათ მინდა აბანო,მომეცით წითელი ჯვარი, გაგიწყრათ ჯვარიცა და ხატიც.

— წით. ჯვარი გინდათ? აგრე იტყოდი, შე კაცო!

— წკრ... წკრ... წკრ...

— გისმენთ წითელი ჯვარი.

— თუ ძმა ხარ, ქე იცით თქვენს ახლოს არის განათლების კავშირი. თანამშრომელი ძალიან ცუდათ გახდა და საჩქაროთ გამოგზავნეთ ექიმი.

— ამხანაგო, ჩვენ ექიმებს არსად ვგზავნით. თუ ჩვენ ვესაჭიროებით, თითონ მოვიდეს ავადმყოფი ჩვენთან.



ჩ ვ ე უ ლ ე ბ ა

— ჩემ სახლში წამოიღე ამხანაგო ეს საქონელი!

მგზავრი: — არ ენდო კოოპერატივის ნოქარია; თავის სახლში წაიღებს!

— კაცო, შედით მდგომარეობაში, თანამშრომელი გვიკვდება და გამომიგზავნეთ ექიმი, უკიდურეს შემთხვევაში ფერშალი მაინც, რომ კამფორა შეუშხაპუნოს.

— ფერშალს, კარგი, გამოგგზავნით; დაათავებს აგერ რაღაც 40-მდე ავანტყოფის ნემსის გაკეთებას და წამოვა.

საათის თერთმეტზე ვეღირსეთ წითელ ჯვრის ფერშლის მოსვლას.

— ეს არის ავადმყოფი? ჰაა, ცხადია ცუდათაა, მაგრამ რა გაეწყობა. მე ნემსი წამოვიღე, მაგრამ ქაფური არა მაქვს, თუ თქვენ გააქვთ, შეშხაპუნებას არ დაგამადლით, თუ არა და რა ვქნა, მე ხომ მისი გამზადება არ შემიძლია. დაუძახეთ „სასწრეფო დახმარებას“, მაგრამ ის სამი დღია რემონტშია და ოთხი დღე კიდევ დააგვიანდება. მე მივდივარ... რა გავაკეთო ეს! შვიდობით. ღმერთმა ინებოს მაგის მორჩენა.

შვილი



ულაკი:—სად მიხვალ, სად,—ჩემო გადამალულო ქონებავ!

ყუმბარა

ვინ დასთვალოს რაუდენი, ცოდვები გაქვს რამდენი.

სადგურის უფროსი რაუდენ მგელა ძე ცნობილი შავრაზმელია. მისი წარსული შავით არის შემურული. რაუდენი არ ჩამორჩება მის გვარისკაც დიმიტრი მგელაძეს, რომელიც გურიაში ცნობილი შავრაზმელი იყო.

მცოდნე.



— მართლაც გასაკოჭავია ამ სადგურის უფროსი!

რაუდენმა სთქვა: ჩემთვის ვზივარ,
ვერვინ მოვა ჩემზედაო.
საკოჭაოს მივმალულვარ
აგარაკის მთაზედაო.

აქ ვიგონებ წარსულ დღეებს,
ხალხს რომ ვაჯექ ზურგზედაო.
გავსწიე და გამოვსწიე
ისევ დავრჩი თავნზედაო.

ძველ დროს ცემში თავის ოთახს
თვით დავესხი თავზედაო.
ქვით ფანჯრები ჩავულეწე,
ჩირგვში ვიჯექ მთაზედაო.

ჟანდარმს ვუთხარ:—დამიფარეთ,
ღმერთს ვლოცულობ თქვენზედაო.
მუშები-თქო თავს დამესხენ
შურს ეძებენ ჩემზედაო.

დამიჯერეს და მთელ სოფელს
მაგრად სცემეს ზურგზედაო;
რაუდენისო შეწუხება
კაცმა როგორ გაბედაო.

სახლისკაცი რითი არის
უკეთესი ჩემზედაო?

ჩვიდმეტში მეც შევიცვალი
იმდროინდელ ფერზედაო.

თითქოს ძალზე გამიხარეს
მე ვდგებოდი ცერზედაო.
მენშევიკნი რომ წავიდნენ
სევდა მაწევს გულზედაო.

გავიხედე სერზედაო,
ელდა მეცა გულზედაო:
დავინახე — მუშგლეხკორი
აგერ მოდის ჩემზედაო.

გამწევენ და გამომწევენ,
ცოდვებია შენზედაო.
ამომკრავენ პანღურსა და
გამაგდებენ თხლეზედაო.

ვასო მაქაცარიამ კოლექტივი არია!

სოფ. ზუგდიდი

თავისი ცუდი მოქმედებითა და საქციელით ვასო მაქაცარიას არაკანონობა შეაქვს ადგილობრივ კოლექტივში.

ფრიოლი.

ვასომა სთქვა: კოლექტივში
ხმას ვინ დაძრავს ჩემზედაო?
თუ გაბედა,—ვაი მის ტყავს,
ეტირება მას დედაო.

ღვინის სმაში ვინ მაჯობებს,
კვარტს ვიწურავ ფრჩხილზედაო.
მთელს კოლექტივს დავაყენებ
ყვირილითო ფეხზედაო.

რა ვუყოთ, რომ ბევრი ფული
ირიცხება ჩემზედაო.
სადაც ვაყავ ბლომად გავკარ,
ქონად მადევს კუჭზედაო.



კოლექტივის ბეჭედი ვასო მაქაცარიას პროექტით.

ხელს მაფარებს ჩემი სიძე,
კინ რას იტყვის ჩემზედაო,
ტყუილად ხომ არ მკიდია
რევოლვერი წელზედაო?!

დეპეშა ნიგვზიანიდან

ნიგვზიანი. დღეს დილით ნოქარი ჭიჭიკო კოოპერატივის კარებს აღებდა, შიგნიდან საშინელი ღრიალი მოესმა. ჭიჭიკოს შეეშინდა—კოოპერატივს ძარცვავენ ქურდებიო, და გაიქცა მილიციაში. მაშინვე დაიძრა შეიარაღებული მილიცია, რომელიც ქურდებს კოოპერატივის გარშემო ჩაესაფრა. როდესაც კარი გააღეს (მილიციას თოფები მომარჯვებული

ჰქონდა სასროლად), კოოპერატივიდან გამოვარდა ორი შეყვარებული ძაღლი, რომლებიც იქვე შეიპყრეს. ერთერთი ძაღლი ჭიჭიკოსი აღმოჩნდა. ზარალი უმნიშვნელოა. გულმოსულმა ჭიჭიკომ შესაფერი ზომები მიიღო ძაღლების განსაქორწილებლად. გამარჯვებული და ომგადახდილი მილიცია ბინაზე დაბრუნდა.

მნახველი.

ნიკა ფერეულის სიმღერა

(ძირული)

აბა დელი, რაშო-რერა,
ოდელია, დელი, დელა...
ძველებურად საქმეს ეხლაც
ვაჭახრაკებ ნელა-ნელა.

თუმც აქ ჩემი ცუდი ქცევით
მთლად გლეხობა გადმემტერა.
მერე რაა, თუ მიწოდეს:
მლიქვნელი და გაიძვერა.
ღარიბია თუ მდიდარი
სულ ერთია ჩემთვის ყველა.
კოლექტივის წევრს გასაშინჯს
ვაშლეპ ზურგზე თუმანს ხელად.

არ მაქვს ნება და ყალბ რეცეპტს
მაინც ვწერამ უდარდელად;
ხელს კვაჭურად ვაწერ-ექიმ
ნიორაძის მაგიერად.
ტაში ტუში, რერო-რაშო,
ჩემო ცოლო, ჩემო მაშო...
ყარადღებას არ გვაქცევენ
ვიჯირითოთ ვიპარპაშოთ.

ძირულელი თაღა.

აბანოს ტელეფონიზაცია

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბათუმი

ტელეფონი რომ მშვენიერი არის ყავშირისათვის, დღეს ეს ყველასათვის ნათელია. აი, მაგალითად, გიდგათ ტელეფონი მაგიდაზე; სრულიად შეუწუხებლად, (თუ მორიგე ქალი გაჯავრებული არ არის) გააბავთ საუბარს ვისთანაც გინდათ.

შეყვარებულთათვის ხომ ტელეფონი მისწრებაა! ვერც გაწითლებას შეგამჩნევს სატრფო და უფრო თამამადაც ლაპარაკობ.

ერთი სიტყვით ტელეფონი მეტად საჭირო რამ არის.

ეს წინასიტყვაობა იმისათვის დაგვჭირდა, რომ **ბათუმის** ცნობილ აბანო „ლონდონში" ახალი გამოყენება აქვს ტელეფონს. შეგიძლიათ ჩვეულებრივ აიღოთ ტელეფონის მილი, ჩასძახოთ შიგ ბარიტონით (ბასი ხომ კიდევ უკეთესია), და შეუკვეთოთ აბანოს ნომერი. მიხვალთ დანიშნულ დროზე და ორასი კაცი რომ იდგეს რიგში, იმ წუთშიც შიხვალ საბანოდ ნომერში.

კონსტენკო

— ამხანაგო, ურიგოთ არ შეიძლება!
— როგორ თუ ურიგოთ! ტელეფონით შეუკვეთე!

ერთი კოვზით

სცენა ზოგიერთ სასადილოში

ხათა

— ჩამოდი ეხლავე ძირს! მრისხანედ შეეკახა სოფრომას მილიციელმა და თან მაგრად წაავლო ხელი ფარაჯის კალთაზე.

— რატომ! რას მერჩი? მეჩქარება, მინდა წავიდე.

— ჯერ გადაიხადე „შტრაფი" და მერე სადაც გინდა იქ წადი.

— რისთვის მახდევინებ „შტრაფს"! განა სოფლელებს არა გვაქვს უფლება ამ ვერანა ტრამვაიზე დავჯდეთ!

— ნება როგორ არ გაქვთ, მაგრამ შენ რომ ჯდებოდი, არ იყო სულ მთლად გაჩერებული ტრამვაი.

— ხომ დავჯექი! ხომ არაფერი მტკენია,! ხომ არავინ შემიწუხებია! რას მერჩი?

— თუ ბევრს ილაპარაკებ, მენეთი კი არა, ხუთი მანეთიც ვერ გიშველის!—დაემუქრა მილიციელი გ. ხორაშვილი.

რალა ჯანი ჰქონდა! გადაიხადა ჯარიმა სოფრომამ. მილიციელს კი ქვითარის მიცემა „დაავიწყდა".

წავიდა მეორე ვაგონით.

ოპერის თეატრთან ჩამოხტა.

— მოქალაქე, გადაიხადე „შტრაფი"! — დაუყვირა მას მილიციელმა.

— „შტრაფი" ეს არის ეხლა გადიხადე „ერევანცკზე".

— რა უყოთ, რომ იქ გადაიხადე! ახლა „ბოლოვინცკზედაც" უნდა გადაიხადო.

— რათა? რისთვის!

—იმისათვის, რომ უკანიდან ჩამოხტი.

— მერე რა უყოთ! ვერა ხედავ რამდენი ხალხი გაჩხირებულა შუაში? მე სანამ წინამდე მივიდოდი, ხომ წავიდოდა ეს ვერანა! თუ აგრეა და ისევ წავალ ამ ვაგონით...

— ჯერ ჯარიმა გადაიხადე, და მერე სად გინდა იქითკენ წადი.

გადაიხადა სოფრომამ ჯარიმა და გაეშვა.

მუშკოოპის წინ ჩამოხტა, მარა ვაი მისთანა ჩამოხტომას.

— სად გარბიხარ! გადაიხადე „შტრაფი"! — შეყვირა მას მილიციელმა.

— კაცო, თქვენ შემოჩენილი ხომ არა ხართ! ვინ გგონიავართ მე თქვენ! — დაიყვირა მოთმინებიდან გამოსულმა სოფრომამ.

— მაშ, ასეა საქმე! აბა წამობრძანდით კომისარიატში და იქ გამოვარკვევ ვინცა ხარ.

— რატომ, გეთაყვა, რაშია საქმე?

— საქმე იმაშია, რომ შენ მიმავალ ტრამვაიდან ჩამოხტი.

— ჩიმი რა ბრალია, კონდუქტორი უნდა დაშტრაფო, რომ გაჩერება დააგვიწყა.

—გაჩერება გადატანილია! იძვრე ჩქარა ოფლიანი მანათი!

ძველი

ეროვნული ბიბლიოთეკა

შეკითხვები და პასუხი

ალმ. თავმჯდომარის მოხსენების გარშემო

შეკითხვა: — როგორც თქვენი მოხსენებიდან ჩანს, თქვენ ამ საანგარიშო პერიოდში ჯერ-ჯერობით ვერაფრის გაკეთება შესძელით. მოკლეთ რომ ვსთქვათ, ვერ უვლიდით სოფელს.

პასუხი: — როგორ თუ ვერ უვლიდი! კვირა ისე არ გაივლიდა, რომ ორჯერ მაინც არ შემომევლო მთელი სოფელი ჩემი ცხენით. გაკეთებით კი, ეხლა გავეცანი მდგომარეობას და მომავალში გავაკეთებთ. „აჩქარებითა სოფელი არავის მოუჭამია“...

შეკითხვა: — მიეცით თუ არა ყალბი მოწმობა კულაკის შვილს, თითქოს ის ყოფილიყოს საშუალო გლეხი?

პასუხი: — ამხანაგო, ალბათ თქვენ არ გესმით სიტყვა „ყალბი“. მოწმობა ყალბი საიდან იყო, როცა ხელიც მე თვით მოვაწერე და ბეჭედიც ჩემი ხელით დავაკარი ზედ.

შეკითხვა: — მიღწევაში რომ აღნიშნეთ — 350 ბავშვის დაბადება, რა საერთო აქვს ამ საქმეს თქვენს მუშაობასთან?

პასუხი: — როგორ თუ რა! ამ „350“ ბავშთა რიცხვში ორი ჩემიც ურევია.

შეკითხვა: — გქონდა თუ არა კულაკური გადახრა?

პასუხი: — არა ყოველთვის; როცა დამპატიჟებდნენ, მხოლოდ მაშინ გადაუხრიდი ხოლმე.

შეკითხვა: — რატომ არ არის შეკეთებული სკოლის შენობა?

პასუხი: — მე როგორ უნდა შემეკეთებინა, როცა არც ხის ხელობა ვიცი და არც ქვის; ვინც იცის, მათ არ შერცხვათ და არ შეაკეთეს.

შეკითხვა: — რამდენი კაცი დაიხრჩო საანგარიშო პერიოდში ჩვენი სოფლის შარა-გზების ტალახებში?

პასუხი: — ეგ მე პირველად მესმის! ჩვენს სოფელში ჯერ-ჯერობით იმხელა ტალახი არაა, რომ მუხლის ზევით წვდებოდეს კაცს.

ძგუნტი.

— კაცო, კოლექტივში კულაკი გერასიმე როგორ მიიღეთ?!

— არ იცი რა ოხერია! შემოგვეპარა ის წყეული!

გოდორი

კირკიტას (ძირული) გელაშვილის შესახებ სწერთ:

როცა ჩვენ აქ შევუდექით
არჩევნების სამზადისსო—
ეს დავითი დაფაცურდა,
ძირულაში მუდამ სდისო.
წუხელის ვნახე სიზმარი
ხაბეჭოს ვუდექი თავშიო.
ძველი დრო მაგონდებოდა,
ალარ ვეტიე ტყავშიო.

ხომ გაგიგონიათ — „მელას რაც აგოიდ[illegible] ... ესიზმრებოდაო“ ალბად ღავით გელაშვილიც მელას ჯიშის ყოფილა. მელას ჯიშის ყველა სიზმარი რომ ხდებოდეს, მაშინ ოპორტუნისტების „წინასწარმეტყველება“, რომელიც მათ სიზმარს ემყარება, ამდენხანს ახდებოდა.

კოხს (ბათომი). ჩვეულებრივი მოვლენაა; ამნაირ საქმეს ყოველთვის ასეთი ბოლო აქვს. ამიტომ რა კასაკვირია, რომ:

რაკანაძე „გრუზგოსტორგში“
ფულით გაძღა გაიბერა
გატუზდა და გადიდკაცდა,
ჩვენი მან არ დაიჯერა...

ჰო-და, ახია მასზე თუ:

„ოგეპეუმ“ დაიბარა,
ვამოჰკითხა მას ამბავი;
გამოჰკითხა და შემდეგ კი
შიგ გამსახლში უკრა თავი.

საქმე ის არის, რომ გამსახლიდან ისევ „გრ[illegible]ტორგში“ არ აწოჰყოს თავი. (ასეც ხომ ხშირად ხდება).

ლამაზს (აქვე). ლამაზი კაცი თუ ასეთ უშნო ლექსს სწერთ, ვერ არის კარგი საქმე:

„დადგა ზამთარი, შემოდგომის უგულო ღამე“.

ეს როგორ! ზამთარს არა აქვს თავისი ღამე. გაგვაგებინეთ — ზამთარი შემოდგომისაგან მარტო ღამეებს სეხულობს, თუ—დღეებსაც?

გრ. კაკაბს. როგორ გაჭირვებულ მდგომარეობაშიაც არ უნდა იყოს სტუდენტი, ასეთი ლექსის დაწერა არ ეპატიება. საკვირველია, არავინ გაიძულებთ ლექსის წერას და თავს მაინც რატომ იმტვრევთ ამ ბლაგვ რითმებზე!

შეგდივართ რა თქვენს გაჭირვებულ მდგომარეობაში, გიბეჭდავთ შემდეგ ტაეპს:

სტუდენტთა სასადილოში
მიწრიალდება გულია.
იქ ალეგაზე სადილის
უნდა შესცვალო რჯულია.

რატომ არ გვატყობინებთ, თუ რომელი სარწმუნოებისა ხართ და გამოცვლის შემდეგ რომლის მიღებას აპირებთ!

ნიშადურს (დუშეთი) გვწერთ, რომ პურის დამზადებამ დააშინა „ეპოს“ გამგეობის თავმჯდომარე მანჯგალაძე, რომელმაც

ცრემლი ღვარა კულაკებზე:
„ცოდვა არის.. ნუ ვსთხოვთ პურსო
თორემ გზაში დამხვდებიან,
ამიწევენ მაგრად ყურსო.
ნუ შემარცხვენთ მე იმათთან,
სიტყვა მივეც — დავიფარო.
საშუალო და ღარიბებში
რაც შევკრიბეთ — ის ვიკმაროთ.

ნიშადური თანვე გაქვს, ხოლო თუ საჭიროა ქონიანი ნიჩაფი, გამოგიგზავნით.

გაცინვებული „თბილი კამპანია“

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოპორტუნისტი: (მღერის) „ჩვენ მხარი მივსცეთ ჩვენს ჩაგრულ მოძმეს, კულაკებს ხელი ჩვენ გაუწოდოთ“...

რედაქ. სარედ. კოლეგია; გაზ. „მუშას“ გამოცემა სტამბა “კოლექტივი“ მთავლ. № 1319